

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებების მიზნით სახელმწიფო
შესყიდვისთვის შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. თბილისი

15.02.2012წ.

სხდომას უძღვებოდა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ყლენტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

ალექსანდრე აპლაკოვი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
მინისტრის პირველი მოადგილე;

კახაბერ ჩხარტიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;

ილონა გრიგოლია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული,
საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი;

ვიანორ შელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მატერიალურ-
ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

სატენდერო აპარატის წევრები:

ლელა კიკაღეიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

მანანა ჭყეია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის საბიუჯეტო-საფინანსო სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი (არ ესწრებოდა სხდომას, იმყოფება კუთვნილ შვებულებაში);

დღის წესრიგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
საჭიროებისათვის (SPA 120004331) საჭიროებისათვის საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებების
მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი
საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის ალექსანდრე ალაკოვის გამოსვლამ, რომელმაც სატენდერო კომისიას აცნობა, რომ შპს „ლაშა 2007“-ის მიერ 2012 წლის 15 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან.

ბ) ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ მიმდინარეობს შპს „ლაშა 2007“-ის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია და გადახდისუნარიობის საქმის წარმოება.

განიხილეს:

კომისიამ განიხილა შპს „ლაშა 2007“-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები: აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომ. არ შეიცავს არანაირ ხარვეზს და სრულად აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემსყიდველის მოთხოვნებს.


დაადგინეს:


1. არსებული მონაცემების საფუძველზე, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „ლაშა 2007“.
2. ეცნობოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს და მოწვეულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-15 მუხლის საფუძველზე გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე:

 /გ. ჯენტია/

კომისიის წევრები:

 /ა. ალაკოვი/

 /ვ. ჩხარტიშვილი/

Handwritten signatures

/ ი. გრიგოლია /

/ ვ. შელია /

კომისიის აპარატის წევრები:

Handwritten signature

/ ლ. კიკალეიშვილი /